სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18531005377024

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე ინდივიდუალური მეწარმის) მონაწილეობით პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240109921

რეგისტრაციის თარიღი

30.01.2024 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა

ტელეფონი: 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას **ოცდაოთხი** წლის **ოცდაათ** იანვარს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა**-ში პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა მოქალაქე **გიორგი ვეფხვაძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს **„ვეფხვი“**-ს დირექტორი ამჟამად იმყოფება სლოვენიაში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში მინდობილობის დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის და მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პასპორტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი ვეფხვაძემ** /დაბ. **13.09.1985** წელს, მის. თბილისი, დიღმის მასივი, **III** კვარტალი, კორპუსი **6ბ**, ბინა **20**, პ№ **01005010568**, პასპორტი **15BA52432**/ მომმართა.

შევამოწმე **გიორგი ვეფხვაძის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს **„ვეფხვი“**-ს დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B22096921**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **04.08.2022**, საიდენტიფიკაციო ნომერი: **201955152**.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ **შოთა კაპანაძე** /დაბ. **05.06.1993** წელს, მის. **თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 5, ბინა 66**, პ№ **01005037564**, პასპორტი **12AA69255**/, როგორც – მიმნდობის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი პირი) და **ივანე გოცაძე** /დაბ. **28.05.1987** წელს, მის. **თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 5, ბინა 66**, პ№ **01006018941**/, როგორც – მოწმე.

მე შევამოწმე სანოტარო აქტში მონაწილეთა ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები. სანოტარო მოქმედების მონაწილეები მოწმის ჩათვლით გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. სანოტარო მოქმედების მონაწილეებმა მოწმის ჩათვლით დამიდასტურეს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობა, რის შემდგომაც **გიორგი ვეფხვაძის** სურვილის შესაბამისად შევადგინე შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მინდობილობა

მე, შპს **„ვეფხვი“**-ს დირექტორი **გიორგი ვეფხვაძე** უფლებამოსილებას ვანიჭებ **ნატო ალფაიძეს** /დაბ. **05.01.1967** წელს, პ№ **01010013199**/ ჩემი, როგორც შპს **„ვეფხვი“**-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: **201955152**) დირექტორის სახელით იმოქმედოს ნებისმიერი უძრავი ქონების დაკანონებასთან (ლეგალიზაციასთან) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, დააზუსტოს ფართი, შეიტანოს ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში, მოახდინოს საზღვრების კორექტირება და აიღოს ამონაწერები საჯარო რეესტრიდან. ამასთანავე იმოქმედოს შპს **„ვეფხვი“**-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: **201955152**) საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე მშენებლობის ნებართვების აღებასთან დაკავშირებით. აიღოს შენობა-ნაგებობების აშენების, მიშენების, დაშენების, დემონტაჟის და/ან ფასადის ცვლილების ნებართვები, მოაწყოს ღობე. შეადგინოს, დაამზადოს, შეათანხმოს მშენებლობის პროექტები, დაადგინოს სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეათანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმა, განახორციელოს ზონის ცვლილება, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადა, განახორციელოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება. ჩემი სახელით წარადგინოს განცხადებები და შესაბამისი საბუთები, აიღოს ნებართვები. ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გაგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად. იმოქმედოს შპს **„ვეფხვი“**-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: **201955152**) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ქ. თბილისის მერიაში, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, გამგეობაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, გამწვანების სამსახურში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, რა დროსაც ჩემი სახელით ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან (უძრავი ქონების გასხვისების და უფლებრივად დატვირთვის უფლების გარეშე).

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა ეკატერინე ძულიაშვილმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე **გიორგი ვეფხვაძეს** და განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები. მან დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური, ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **შოთა კაპანაძეს.**

მინდობილობა გაცემულია **ორიათას ოცდახუთი წლის ოცდაათი იანვრის ჩათვლით.**

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა **მიმნდობის ნდობით აღჭურვილ პირს.**

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. **შპს „ვეფხვი“-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B22096921**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **04.08.2022**;

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის **90.00** ლარი თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **32** მუხლისა + დღგ **16.20** ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის **166** მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **5.00** ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **39** მუხლისა, სულ გადახდილია **111.20** ლარი.

ხელმომწერი პირი: _____

მოწმე: _____

ნოტარიუსი: _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

საქართველო * GEORGIA * 01001003353 * ეკატერინე ძულიაშვილი * EKATERINE DZULIASHVILI * ნოტარიუსი * NOTARY * ГРУЗИЯ